დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. **საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება-** არქეოლოგია

2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - არქეოლოგიის ბაკალავრი

3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - 240 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა - 8 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი

4. **სწავლების ენა** - ქართული

5. **პროგრამის ხელმძღვანელები**

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ჯონი აფაქიძე**
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ვახტანგ ჯაფარიძე**

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი - საქართველო არქეოლოგიური ძეგლებით უაღრესად მდიდარი ქვეყანაა. XX საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ამ დარგში საგრძნობლად შემცირდა სტუდენტების რაოდენობა. ეს ყოვლად დაუშვებელია, რადგან ამჟამად საქართველოში მრავალი უცხოური არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობს და მათთან თანამშრომლობისათვის ადგილზე კარგად მომზადებული და ღირსეული პარტნიორები სჭირდებათ. ამასთან საქართველო ძეგლებით მდიდარი ქვეყანაა, რომლებიც ყოველწლიურად ზიანდება ახალმშენებლობების გამო. ზემოაღნიშნულის გარდა, ჩვენ მიერ აღზრდილ ახალგაზრდა სპეციალისტებს უნდა შეეძლოთ დამოუკიდებელი კვლევა-ძიებისა და არქეოლოგიური გათხრების წარმოება.

პროგრამის მიზანია ევროპული სტანდარტების შესაბამისი არქეოლოგიის ბაკალავრების აღზრდა. ამის მისაღწევად საბაკალავრო პროგრამაში უნდა გაძლიერდეს, დაიხვეწოს და ამაღლდეს საგნების სწავლების დონე. ამავდროულად, ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული უცხოეთის უნივერსიტეტებთან სტუდენტების გაცვლის შესაძლებლობა. არქეოლოგია მეცნიერება სწორედ ის დარგია, რომელსაც ფართო შესაძლებლობები გააჩნია სტუდენტთა საზღვარგარეთ სასწავლებლად თუ არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნის თვალსაზრისით.

ბაკალავრიატში სწავლის დროს სტუდენტებმა უნდა მიიღონ არა მარტო თეორიული განათლება, არამედ იმგვარი პრაქტიკული გამოცდილება და უნარ-ჩვევები, რომ დამოუკიდებლად შეეძლოთ არქეოლოგიური ძეგლის შესწავლა, კულტურული ფენების ჩახატვა, ძეგლის ფიქსაცია, მოპოვებული მასალის კამერალური დამუშავება. ამდენად, პროგრამა ითვალისწინებს საველე **პრაქტიკას;** სტუდენტები გაივლიან არქეოლოგიურ პრაქტიკას და შესაბამისად, თანამედროვე სტანდარტების დონეზე გათხრების წარმოებისა და მოპოვებული მასალების დამუშავებას შეისწავლიან.

8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება**

  წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს სისტემური ცოდნა არქეოლოგიის მეცნიერებაში. ბაკალავრს შეუძლია მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ანალიზი და კვლევის პროცესში დასმული პრობლემების გადაჭრა დამოუკიდებლად ან ხელმძღვანელის დახმარებით. სტუდენტი დაეუფლა არქეოლოგიის დარგისათვის სპეციფიურ, როგორც თეორიულ, ასევე საყოველთაოდ აღიარებულ კვლევით მეთოდებს.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი/ პრაქტიკული უნარები**

  ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამის გავლისა და საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისა და დაცვის შედეგად მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტის კვალიფიკაცია იძლევა საშუალებას კურსდამათავრებულისთვის, გარკვეული კომპეტენციის ფარგლებში სათანადო უნარების გამოვლენის; კერძოდ, მას შეუძლია უცხოურ ენაზე არქეოლოგიაში სათანადო ლიტერატურის მოძიება, გაცნობა და მისი კრიტიკული გააზრება. ის ერკვევა თანამედროვე სამეცნიერო მიმდინარეობების არსში ზოგადად, კერძოდ კი არქეოლოგიის, როგორც დარგის, იმ სფეროში, რომელშიც მან გაიარა სპეციალური მომზადება და დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი.

- **დასკვნის უნარი**

  სტუდენტი შეძლებისდაგვარად ფართოდ იცნობს თანამედროვე მსოფლიოს არქეოლოგიური კვლევების მონაცემებს, შეუძლია მისი კრიტიკული ანალიზი. შემეცნების და გააზრების ამ პროცესში, საქართველოს არქეოლოგიური კვლევების ცალკეულ მონაცემებზე ამახვილებს ყურადღებას. კურსდამათავრებული აქტიურად გამოხატავს თავის მოსაზრებებს, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი პრეზენტაციის დროს. ფლობს თანამედროვე არქეოლოგიურ ტერმინოლოგიას. სათანადო არქეოლოგიურ ტექსტებზე მუშაობის დროს ფართოდ იყენებს ინფორმაციას უცხოურ ენებზე, ცოდნა განისაზღვრება ტექსტების ციტირების ინტენსივობით.

- **კომუნიკაციის უნარი**

  სტუდენტს შეუძლია კვლევის საგნის განსაზღვრა, და მისი სათანადოდ მომზადება, მონაწილეობს სამეცნიერო განხილვებში; შეუძლია კვლევებისთვის საჭირო ინფორმაციული წყაროების მიკვლევა, სათანადოდ ციტირება და კომენტირება. არქეოლოგიური მასალების, როგორც მნიშვნელოვანი წყაროს საისტორიო მეცნიერების კვლევებში ჩართვა. მისი დამუშავება, სათანადო ფორმით გადმოცემა, ანოტირება და რედაქტირება. შეუძლია საქმიანობის მნიშვნელოვნად თანმიმდევრული ორგანიზება. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება, ინფორმაციის სპეციალისტებისათვის და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენებზე.

.

- **სწავლის უნარი**.
  ბაკალავრს გააჩნია ახალი ინფორმაციის - სამეცნიერო ნაშრომებისა და მოსაზრებების-მოპოვებისა და შეთვისების უნარი; აქვს სამეცნიერო ბრუნვაში შე-მოსული სიახლეების, ახალი სამეცნიერო მასალების დამუშავების, და ახალი მეთოდების შესწავლისა და ათვისების უნარი.
- **ღირებულებები** - მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და მათ დასამკვიდრებლად ისწრაფვის. კურსდამთავრებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ღირებულებების დამკვიდრების პროცესში და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავა ინოვაციური მეთოდები. ბაკალავრს აქვს: სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვისა და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობა; სხვათა მოსაზრებების პატივისცემა; მორალური და ეთიკური ნორმებისადმი ერთგულება. გამოიმუშავა მოლაპარაკებების წარმართვის უნარები; პროფესიული და პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა.

9. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი														
უცხო ენა - 21 კრედიტი						6	6	6	3					
ა)	***ინგლისური ენა - დამწყებთათავის*** *(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)*													
1.	ინგლისური ენა I (Elementary A1)	ENGL B 001	6	65	85	6								*წინაპირობა არ გააჩნია*
2.	ინგლისური ენა II (PreIntermediate A2)	ENGL B 002	6	65	85		6							*ENGL B 001*
3.	ინგლისური ენა III(Intermediate B 1)	ENGL B 003	6	65	85			6						*ENGL B 002*
ბ)	***უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით*** *(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)*													
1.	***უცხო ენა I*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2*	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	*65*	*85*	6								წინაპირობის გარეშე
2.	***უცხო ენა II*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1*	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	*65*	*85*		6							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	***უცხო ენა III*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2*	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013	6	*65*	*85*			6						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012

		RUSS B 013												RUSS B 012
4.	***დარგობრივი უცხო ენა*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)* (არქეოლოგია)	ENGL B 022 GERM B 022 FREN B 022 RUSS B 022	**3**	35	40				**3**					ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013
5.	აკადემიური წერა	ACAD B101	**6**	65	85	**6**								*წინაპირობის გარეშე*
6.	ენათმეცნიერების შესავალი	PHIL B101	**6**	65	85	**6**								*წინაპირობის გარეშე*
7.	საქართველოს ისტორია	HIST B101	**6**	65	85	**6**								*წინაპირობის გარეშე*
8.	კლასიკური ენა /ლათინური/	LAT B101	**3**	35	40	**3**								*წინაპირობის გარეშე*
9.	ფილოსოფიის შესავალი	PHLS B101	**3**	35	40	**3**								*წინაპირობის გარეშე*
ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 102 კრედიტი														
1.	არქეოლოგიის შესავალი	ARCH B101	**3**	*35*	*40*		**3**							*წინაპირობის გარეშე*
2.	ქვის ხანის არქეოლოგია	ARCH B102	**6**	65	85		**6**							*წინაპირობის გარეშე*
3.	საქართველოს ისტორია უძველესი დროი-დან XIIIს. დამდეგის ჩათვლით	HIST B103	**6**	65	85		**6**							*HIST B101*
4.	ძველი აღმოსავლეთის ისტორია	HIST B144	**3**	*35*	*40*		**3**							*წინაპირობის გარეშე*
5.	პრეისტორიული არქეოლოგია	ARCH B103	**6**	*65*	*85*			**6**						*ARCH B101*
6.	საველე არქეოლოგია	ARCH B104	**3**	*35*	*40*			**3**						*ARCH B101*
7.	შესავალი ტროას არქეოლოგიაში	ARCH B105	**3**	*35*	*40*				**3**					*წინაპირობის გარეშე*
8.	საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ეტაპები	ARCH B106	**3**	35	40			**3**						*წინაპირობის გარეშე*
9.	საქართველოს ისტორია XIII-XVIII საუკუნეებში	HIST B104	**6**	65	85			**6**						*HIST B103*
10.	ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია	HIST B107	**6**	65	85			**6**						*წინაპირობის გარეშე*
11.	საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგია	ARCH B107	**6**	65	85				**6**					*ARCH B101* *ARCH B103*
12.	საქართველოს ისტორია XIX-XXI საუკუნის დამდეგი	HIST B105	**6**	65	85				**6**					*HIST B103* *HIST B104*
13.	ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგია I - ბერძნული კულტურა	ARCH B108	**6**	*65*	*85*					**6**				*ARCH B101*
14.	აფხაზეთის არქეოლოგია და კულტურა	ARCH B109	**6**	*65*	*85*					**6**				*ARCH B101*

15.	საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგია	ARCH B110	**3**	35	40					**3**				*ARCH B101*
16.	საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგია	ARCH B111	**3**	35	40						**3**			*ARCH B101*
17.	ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგია II - რომი, რომაული კულტურა	ARCH B112	**6**	*65*	*85*						**6**			*ARCH B108*
18.	საარქივო-სამუზეუმო საქმე	ARCH B122	**3**	35	40						**3**			*წინაპირობის გარეშე*
19.	კავკასიის ქვეყნების არქეოლოგია	ARCH B113	**3**	*35*	*40*							**3**		*ARCH B101*
20.	**სასწავლო-საველე არქეოლოგიური პრაქტიკა**	ARCH B114	**6**	90	60		**6**							*ARCH B101*
21.	**საბაკალავრო ნაშრომი**	ARCH B115	**9**	75	150								**9**	*პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები*
	ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები-24კრედიტი (სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად)											**15**	**9**	
1	ანტიკური ხანის ქართული ნუმიზმატიკა	ARCH B116	**3**	*35*	*40*									*წინაპირობის გარეშე*
2.	საქართველოს შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლები	ARCH B117	**6**	65	85									*წინაპირობის გარეშე*
3.	ნუმიზმატიკის შესავალი	ARCH B118	**3**	35	40									*წინაპირობის გარეშე*
4.	ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის აღმოსავლეთ ევროპის არქეოლოგიის საკითხები	ARCH B119	**6**	*65*	*85*									*წინაპირობის გარეშე*
5.	პალეობიოლოგიიის შესავალი	ARCH B120	**3**	*35*	*40*									*წინაპირობის გარეშე*
6.	ადრეკოლხური არქეოლოგია	ARCH B121	**3**	*35*	*40*									*წინაპირობის გარეშე*
7.	ეთნოლოგიის შესავალი	HIST B123	**3**	*35*	*40*									*წინაპირობის გარეშე*
8.	საქართველოს ეთნოლოგია	HIST B124	**6**	*65*	*85*									HIST B123
9.	კავკასიის ხალხთა ეთნოლოგია	HIST B127	**3**	*35*	*40*									HIST B123
10.	ქართული კულტურის ისტორია	HIST B125	**3**	*35*	*40*									*წინაპირობის გარეშე*
11.	საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია	HIST B130	**3**	*35*	*40*									*წინაპირობის გარეშე*
12.	მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია	HIST B141	**3**	*35*	*40*									*წინაპირობის გარეშე*
13.	მსოფლიო რელიგიების ისტორია	HIST B142	**3**	*35*	*40*									*წინაპირობის გარეშე*
14.	ეპიგრაფიკა	HIST B121	**3**	*35*	*40*									*წინაპირობის გარეშე*
15	ახლო აღმოსავლეთის ახალი და უახლესი	HIST B131	**3**	*35*	*40*									*წინაპირობის გარეშე*

	ისტორია													
16	პალეოგრაფია	HIST B120	3	*35*	*40*									*წინაპირობის გარეშე*
17.	არქეოლოგიის კვლევა-ძიების ისტორია	ARCH B123	3	*35*	*40*									*წინაპირობის გარეშე*
თავისუფალი კურსები *(სტუდენტს ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი)*				9						3	6			
დამატებითი(minor) პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა *(დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან)*				60					12	12	12	12	12	
ს უ ლ				240		30	30	30	30	30	30	30	30	

10. დამატებითი (Minor) პროგრამა - არქეოლოგია

- **პროგრამის სახელწოდება** - დამატებითი (Minor) პროგრამა არქეოლოგია
- **სწავლების ენა** - ქართული
- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - 60 (ECTS) კრედიტი /5 (IV-VIII)სემესტრი/ სემესტრში - 12 კრედიტი.
- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - წინაპირობის გარეშე
- **პროგრამის მიზანი** - არქეოლოგიის დამატებითი (**Minor**) პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება არქეოლოგიის საბაზო უნარების ათვისების პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის დამატებითი სპეციალობის შეძენის მსურველთათვის. მასში გათვალისწინებულია, როგორც ზოგადი თეორიული კურსები, რომლებიც ანვითარებენ მომავალი სპეციალისტის საბაზო განათლებას, ასევე სპეციალური პრაქტიკულ-თეორიული კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლებას არქეოლოგიის სფეროში. მთლიანობაში (Minor) პროგრამა ორიენტირებულია საბაზისო უნარ-ჩვევების შეძენაზე. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის ინდივიდუალური ანალიტიკური უნარების ფორმირებას, განვითარებას, კარიერული შესაძლებლობის გაფართოებასა და კვალიფიკაციის შემდგომ საფეხურზე შეცვლის საშუალებას.
  პროგრამის მიზანია, რომ სტუდნეტს მიეცეს არქეოლოგიის სფეროში ზოგადი ცოდნა ქვის ხანის არქეოლოგიის, პრეისტორიული არქეოლოგიის, საველე არქეოლოგიის, საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის, ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგიის (საბერძნეთი და რომის), საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიის მიმართლებით და შეექმნას წარმოდგენა ტროას არქეოლოგიაზე.

- **სწავლის შედეგები**

  - **ცოდნა და გაცნობიერება** - სტუდენტს აქვს ზოგადი ცოდნა არქეოლოგიის მეცნიერებაში. იცის ქვის ხანის არქეოლოგიის, პრეისტორიული არქეოლოგიის, საველე არქეოლოგიის, საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის, ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგიის (საბერძნეთი და რომის), საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიის საფუძვლები, წარმოდგენა აქვს ტროას არქეოლოგიაზე.

  - **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - სტუდენტს შეუძლია ქვის ხანის არქეოლოგიის, პრეისტორიული არქეოლოგიის, საველე არქეოლოგიის, საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის, ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგიის (საბერძნეთი და რომის), საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიის საფუძვლებზე მსჯელობა.

  - **დასკვნის უნარი** - კურსდამათავრებული აქტიურად გამოხატავს თავის მოსაზრებებს, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი პრეზენტაციის დროს. ფლობს თანამედროვე ელემენტარულ არქეოლოგიურ ტერმინოლოგიას.

  - **კომუნიკაციის უნარი** - შეუძლია საჭირო ინფორმაციული წყაროების მიკვლევა, სათანადოდ ციტირება და კომენტირება. არქეოლოგიური მასალების დამუშავება, სათანადო ფორმით გადმოცემა, ანოტირება და რედაქტირება. შეუძლია საქმიანობის მნიშვნელოვნად თანმიმდევრული ორგანიზება.

  - **სწავლის უნარი** - *ბაკალავრს გააჩნია ახალი ინფორმაციის, მოსაზრებების მოპოვებისა და შეთვისების უნარი; აქვს ახალი მასალების დამუშავების, და ახალი მეთოდების შესწავლისა და ათვისების უნარი.*

  - **ღირებულებები** - მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და მათ დასამკვიდრებლად ისწრაფვის. კურსდამთავრებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ღირებულებების დამკვიდრების პროცესში და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავა ინოვაციური მეთოდები.

- **არქეოლოგიის დამატებითი (minor) პროგრამის სტრუქტურა**

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				სკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი														
1.	არქეოლოგიის შესავალი	ARCH B101	3	*35*	*40*				3					წინაპირობის გარეშე
2.	ქვის ხანის არქეოლოგია	ARCH B102	6	*65*	*85*				6					წინაპირობის გარეშე
3.	პრეისტორიული არქეოლოგია	ARCH B103	6	*65*	*85*					6				ARCH B101
4.	საველე არქეოლოგია	ARCH B104	3	*35*	*40*					3				ARCH B101
5.	შესავალი ტროას არქეოლოგიაში	ARCH B105	3	*35*	*40*				3					წინაპირობის გარეშე
6.	საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგია	ARCH B107	6	*65*	*85*						6			ARCH B101 ARCH B103
7.	ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგია I - საბერძნეთი	ARCH B108	6	*65*	*85*						6			ARCH B101
8.	ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგია II - რომი	ARCH B112	6	*65*	*85*							6		ARCH B108
9.	საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგია	ARCH B111	6	*65*	*85*								6	ARCH B101
არჩევითი კურსები - 15 კრედიტი														
არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებიდან										3		6	6	
ს უ ლ - 60 კრედიტი									12	12	12	12	12	